



საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის,
ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ
მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი
საკოორდინაციო საბჭო: მუშაობის წესი და
პრინციპები

საორიენტაციო პაკეტი საბჭოს ახალი
წევრებისთვის
თებერვალი 2015



გლობალური ფონდი და

საქართველოსთვის გაწეული დახმარება

- გლობალური ფონდი (Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფუძნდა 2002 წელს და წელიწადში ახორციელებს 4 მილიარდი დოლარის ინვესტიციას 140 ქვეყანაში ამ დაავადებებთა საბრძოლველად.
- ჯამურად, სამივე დაავადების მიმართულებით 2003 წლიდან დღემდე გლობალურ ფონდთან ხელმოწერილი გრანტების ღირებულება შეადგენს **123,748,998** აშშ დოლარს.
 - აივ/შიდსი - **75,878,433** აშშ დოლარი;
 - ტუბერკულოზი - **44,369,855** აშშ დოლარი;
 - მალარია - **3,500,710** აშშ დოლარი.
- ტუბერკულოზის პროგრამის დაფინანსების დაახლოებით 50%, ხოლო შიდსის შემთხვევაში დაფინანსების დაახლოებით ორ-მესამედი გლობალური ფონდის წილია.
- ქვეყნის საკოორდინაციო მექანიზმი (საბჭო) გლობალური ფონდისთვის ქვეყნის მიერ გრანტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის სრულად გაზიარების და გადაწყვეტილების მიღებისას გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის უმთავრესი გზაა

საკოორდინაციო საბჭო

- ჩამოყალიბდა და მოქმედებს 2003 წლიდან
- საბჭო წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგიანობისა და მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილ კოლევტიურ ორგანოს – ამ სფეროში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების პროცესში საჯარო და კერძო პარტნიორობის მექანიზმს ეროვნულ დონეზე.
- საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და საქართველოს მთავრობის №220 2012 წლის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო დებულების შესაბამისად და ასრულებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობის მიერ დაკისრებულ ამოცანებს

საკოორდინაციო საბჭოს მოქმედებისთვის საკანონმდებლო ჩარჩო და სახელმძღვანელო დოკუმენტები



- საქართველოს მთავრობის დადგენილება №220 2012 წლის 18 ივნისი ქ. თბილისი „საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“
- საკოორდინაციო საბჭოს მართვის სახელმძღვანელო (მზადდება ამჟამად)

საბჭოს მიზანი

- საბჭოს მიზანია უზრუნველყოს საქართველოში სახელმწიფოს, შიდასთან, ტუბერკულოზისა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის (შემდგომში – გლობალური ფონდი) და სხვა დონორი ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით მიმდინარე აივ ინფექციის/შიდასის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კოორდინირება სახელმწიფო დონეზე.
- საბჭოს საქმიანობა მოიცავს აივ ინფექციის/შიდასის, ტუბერკულოზისა და მალარიის სფეროებს, კერძოდ, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, მხარდაჭერისა და მოვლის ღონისძიებათა შედეგიანობისა და მდგრადობის ხელშეწყობას.

საბჭოს ფუნქციები

- **სტრატეგიული დაგეგმვა** : აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა გრძელვადიანი დაგეგმვა და ეროვნული რეაგირების კოორდინაცია.
- **კანონმდებლობა**: შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- **გლობალური ფონდის პროექტების განხორციელების ზედამხედველობა და მონიტორინგი**:
 - ძირითადი მიმღების შერჩევა
 - დონორების მიერ დაფინანსებული ღონისძიებების მონიტორინგის განხორციელება;
 - დაფინანსების მიღების მიზნით ახალი განაცხადების შემუშავების პროცესის კოორდინაცია
 - პროგრამების/პროექტების შეფასება და საქართველოს მთავრობისათვის ან/და დონორებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის შედეგების წარდგენა;
- **შეფასება**: საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ დონორების მიერ გამოყოფილი სახსრების და სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების მიზნობრიობის და ეფექტიანობის შეფასება

საბჭოს მუშაობის პრინციპები

- თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებსა და ექსპერტებთან
- გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალე და დოკუმენტირებული
- მტკიცებულებებზე დამყარებული დაგეგმვა
- პლატფორმა აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ეროვნული პასუხის დაგეგმვაში საყოველთაო მონაწილეობისთვის



საბჭოს შემადგენლობა და სტრუქტურა

- საბჭო თავის შემადგენლობაში აერთიანებს სამთავრობო დაწესებულებებს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს-არ აღემატება 30 წევრს
- საბჭოს ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება საბჭოს წევრებისა და სამდივნოსაგან.
- საბჭო თავის წევრთა შემადგენლობიდან 4 წელიწადში ერთხელ ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს.
- საბჭოს თავმჯდომარე, ხელმძღვანელობს საბჭოს და წარმოადგენს მას საქართველოსა და უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებთან
- თავმჯდომარე განსაზღვრავს და საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს იმ წევრს, რომელიც ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილებას
- გლობალური ფონდის მინიმალური სტანდარტების თანახმად (სავალდებულო ხასიათი მიიღო 2015 წლის 1 იანვრიდან) საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე განსხვავებულ სექტორების წარმომადგენლები უნდა იყვნენ

საბჭოს შემადგენლობა

- საბჭოს შემადგენლობაში გაერთიანებულია 26 წევრი
- შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლები: 10 წევრი
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები (არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, რელიგიური ორგანიზაციები), აივ ინფიცირებული, შიდსით ან ტუბერკულოზით დაავადებულ პირთა ჯგუფების ან ორგანიზაციების წარმომადგენლები, საზოგადოების იმ ჯგუფების ან ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც აივ ინფიცირების მომეტებული რისკის ქვეშ იმყოფებიან და სხვა: 12 წევრი
- მულტილატერალური და ბილატერალური საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები: 4 წევრი

საბჭოს დაკომპლექტების პრინციპები

- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შედგენენ საბჭოს წევრთა არანაკლებ 40%-ს;
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი საბჭოს წევრთა შემადგენლობა განახლდება არა უმეტეს 2 წელიწადში ერთხელ, საბჭოს შემადგენლობის განახლების წესის შესაბამისად.
- ყურადღება ექცევა გენდერული ბალანსის დაცვას;
- დაუცულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისთვის აუცილებელი პირობები

საბჭოს წევრის ვალდებულებები

- მიიღოს მონაწილეობა საბჭოს სხდომებში, საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში;
- გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს იმ დაწესებულების, უწყების, ორგანიზაციის ინტერესი, რომელსაც წარმოადგენს; უზრუნველყოს მისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- ცალკეულ განსახილველ საკითხზე ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ განაცხადოს ამის თაობაზე;
- ხელი შეუწყოს საბჭოს გადაწყვეტილების შესრულებას.

საბჭოს წევრის უფლებები

- წინასწარ გაეცნოს განსახილველ საკითხებს, სამდივნოსგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და მიაწოდოს საკუთარი წინადადებები;
- უარი თქვას საბჭოს წევრობაზე;
- საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოადგინოს საბჭო მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია საბჭოს მუშაობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;
- მოახდინოს საკუთარი უფლებამოსილების დელეგირება სხვა პირზე, რის შესახებაც წერილობით აცნობებს საბჭოს სამდივნოს.

საბჭოს სამდივნოს ფუნქციები

- საბჭოს სხდომების დღის წესრიგის, ოქმების შედგენა, გავრცელება და დაარქივება;
- საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- გლობალური ფონდის ინფორმირება საბჭოს შემადგენლობის ცვლილების თაობაზე;
- საბჭოს ლოგისტიკითა და საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას შესაბამისი დახმარებით უზრუნველყოფა;
- საბჭოს მიერ წლიური სამუშაო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;
- საბჭოს შეხვედრების ორგანიზება;
- საბჭოს მიერ განხორციელებულ საქმიანობათა შესაბამისი დოკუმენტირება და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- საბჭოს მუშაობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საბჭოს წევრთა მონაწილეობის ხელშეწყობა;
- საბჭოსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა.

ინტერესთა კონფლიქტი და მისი გადაწყვეტა



- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით საბჭოს წევრს უფლება არ აქვს:
 - ა) საბჭოს მიზნების წინააღმდეგ გამოიყენოს საბჭოს წევრის სტატუსით მიღებული ინფორმაცია;
 - ბ) საბჭოს წევრის სტატუსი გამოიყენოს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც ზეგავლენას ახდენს სხვა ორგანიზაციაზე, რომელშიც მას იმავდროულად უკავია თანამდებობა ან იმყოფება შრომით ურთიერთობებში ანდა დაინტერესებული მხარე მისი ახლო ნათესავია;
 - გ) იმოქმედოს ანგარებით საბჭოს წევრის სტატუსით ხმის მიცემის ან ხმის მიცემისაგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

ინტერესთა კონფლიქტი და მისი გადაწყვეტა



- საბჭოს სხდომაზე, კენჭისყრის დაწყებამდე, საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია შეავსოს ინტერესთა დეკლარირების ფორმა
- საბჭოს წევრის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში:
 - ა) წინასწარი დეკლარირების და საბჭოს მიერ ინტერესთა კონფლიქტის დადასტურებისას – მას უწყდება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრამდე;
 - ბ) თუ მისთვის ცნობილი იყო გარემოება ან ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სუბიექტს, ინტერესთა კონფლიქტში აყენებდა და ამის შესახებ წინასწარ დეკლარირება არ მოახდინა, ხოლო საბჭომ დაადგინა და დაადასტურა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა – მას უწყდება წევრის უფლებამოსილება.

ინტერესთა კონფლიქტი და მისი გადაწყვეტა



- საბჭოს აქვს უფლება, მოახდინოს ან/და მოითხოვოს იმ გადაწყვეტილებების, მოქმედებებისა და შედეგების ანულირება, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტის პირობებში იქნა მიღებული.
- თუ საბჭომ დადგენილი წესით ინტერესთა კონფლიქტის არსებობა უარყო ან დაადგინა, რომ ის გავლენას ვერ მოახდენს საბჭოს მუშაობაზე, სუბიექტი დაუყოვნებლივ უბრუნდება სამუშაო პროცესს და განაგრძობს საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას.
- სუბიექტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ წარმოებული განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა იყოს აღწერილი და რეგისტრირებული სამდივნოს მიერ შესაბამისი ოქმით.

ინტერესთა კონფლიქტი და მისი გადაწყვეტა



გლობალური ფონდის ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიმართ მოთხოვნა # 6 განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის საკითხს შემდეგნაირად:

- საბჭო ვალდებულია შეიმუშავოს და გამოაქვეყნოს ინტერესთა კონფლიქტის მართვის დოკუმენტი. დოკუმენტი უნდა ავალდებულებდეს საბჭოს წევრებს პერიოდულად განაცხადონ მათ ან საბჭოს სხვა წევრების მიმართ წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტის არსებობა. დოკუმენტი უნდა ასახავდეს, ხოლო საბჭოს ოქმები აფიქსირებდეს შემდეგს: წევრები, რომლის მიმართ დაფიქსირდა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა არ ღებულობენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის გადაწყვეტილებებში, რომელიც დაკავშირებულია საზედამხედველო ფუნქციასთან და ძირითადი მიმღების, ქვე-კონტრაქტორების შერჩევასთან და დაფინანსებასთან.
- საბჭო ვალდებულია იხელმძღვანელოს ინტერესთა კონფლიქტის დოკუმენტის გლობალური ფონდის გრანტების განხორციელების პერიოდში და წარუდგინოს გლობალურ ფონდს ზემოთ ხსენებულის მტკიცებულება მოთხოვნის საფუძველზე

ინტერესთა კონფლიქტი და მისი გადაწყვეტა (გამოწვევა)



- გლობალური ფონდის მინიმალური სტანდარტი:
გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობის პრინციპიდან
გამომდინარე საბჭოს უზურნველყოფს, რომ თითოეული
ჯგუფიდან ინტერესთა კონფლიქტის მქონე წევრთა
რაოდენობა არ აღემატება ერთ ადამიანს

საბჭოს საქმიანობის წესი

- საბჭოს სხდომა მოიწვევა კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ 6-ჯერ. სხდომის მოწვევის უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს, თავისი ინიციატივით ან საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.
- საბჭოს სხდომა იმართება წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით, რომელსაც ადგენს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო სამდივნო უზრუნველყოფს მის მიწოდებას საბჭოს წევრებისათვის, მოწვეული სტუმრებისა და ექსპერტებისათვის.
- საბჭოს სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებს, აგრეთვე სამუშაო ჯგუფის მომხსენებელსა და მოწვეულ ექსპერტს.
- საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი.
- საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე, ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

საბჭოს საქმიანობის წესი

- საბჭოს გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი. საბჭოს მდივანი პასუხისმგებელია საბჭოს გადაწყვეტილების გავრცელებისათვის როგორც საბჭოს წევრებს შორის, ასევე სხვა დაინტერესებულ პირთა წრეში. საბჭოს გადაწყვეტილებები ეგზავნება შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს რეკომენდაციების სახით.
- იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, თავისი პოზიცია დააფიქსიროს სხდომის ოქმში.
- საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სათათბირო ხმის უფლებით ან მის გარეშე შეიძლება მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც არ შედიან საბჭოს შემადგენლობაში. ამასთანავე, საბჭოს წევრები და საბჭოს შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული პირები კომისიის მუშაობაში უნდა მონაწილეობდნენ პირადად.
- საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საბჭო უფლებამოსილია შექმნას მუდმივმოქმედი ან დროებითი სამუშაო ჯგუფები (მაგ. აივ/შიდსის და ტბ სტრატეგიის ჯგუფები)


ანგარიშვალდებულების პრინციპები და ანგარიშგება

- საბჭო, როგორც გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებულ ღონისძიებათა მაკოორდინირებელი ორგანო ეროვნულ დონეზე, ანგარიშვალდებულია გლობალური ფონდის წინაშე.
- ანგარიშვალდებულებისა და დაინტერესებულ პირთა საბჭოს საქმიანობაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით საბჭო:
 - ა) ყოველწლიურად შეიმუშავებს და აქვეყნებს სამოქმედო გეგმას;
 - ბ) ვებსივრცეში განათავსებს საბჭოს მუშაობის პროცესში შექმნილ შესაბამის მასალას;
 - გ) უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას და ჩართულობას, მათ განცხადებებზე დროულ რეაგირებას, ინფორმაციის მიწოდებას გონივრულ ვადებში.

ზედამხედველობა

- საბჭო დონორის მოთხოვნის შემთხვევაში ზედამხედველობას უწევს ფინანსური დახმარების ძირითად მიმღებთა საქმიანობას და პროგრამების განხორციელებას.
- ზედამხედველობის განხორციელების მიზნით საბჭო:
 - ა) შეიმუშავებს ზედამხედველობის გეგმას, რომელიც ასახავს ზედამხედველობის თანმიმდევრობას და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას ზედამხედველობის პროცესში;
 - ბ) განიხილავს ფინანსური დახმარების ძირითად მიმღებთა მიერ დონორისათვის გაგზავნილ პერიოდულ ანგარიშებს/თანხის გადახდის მოთხოვნებს;
 - გ) ეცნობა ფინანსური დახმარების ძირითად მიმღებთა მიერ გაწეულ სერვისებს და განხორციელებულ აქტივობებს ადგილზე;
 - დ) ხვდება და ინფორმაციას მოიპოვებს დაინტერესებული მხარეებისგან, რომლებიც არ შედიან საბჭოს შემადგენლობაში.
- ზედამხედველობის განხორციელებისას საბჭო არ ერევა ფინანსური დახმარების ძირითად მიმღებთა ყოველდღიურ საქმიანობაში.

ზედამხედველობა: საბჭოს პასუხისმგებლობა



საზედამხედველო კომიტეტი

- ხელმძღვანელი: დავით ანანიაშვილი, „საქართველო პლიუს ჯგუფი“, დირექტორი
- წევრები:
 - ვალერი კვარაცხელია, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
 - თამარ სირბილაძე, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ჯანმრთელობის და სოციალური დეპარტამენტის დირექტორი
 - მარი ჩოხელი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“
 - გიორგი ხეჩინაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი
 - არჩილ თალაკვაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე

საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობა



- შედგება 5, მაქსიმუმ 7 წევრისგან
- წევრობის ვადა-ორი წელი
- თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე არ არის საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობაში
- კომიტეტში თანაბარი უნდა იყოს, სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რაოდენობა
- სულ მცირე ერთი წევრი უნდა წარმოდგენდეს აივ/შიდსით ან ტუბერკულოზით დაზარალებულ ჯგუფებს
- კომიტეტში საჯარო სექტორის წარმომადგენელს ასევე უნდა მთავრობა
- ბილატერალური და მულტილატერალური ორგანიზაციების წარმომადგენლებს ასახელებს მათივე მხარე
- **სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შეირჩევა (არჩევა/ნომინირება) საბჭოს მიერ მათივე მხრიდან. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელ საბჭოს წევრებს შუძლიათ დაასახელონ კანდიდატი ან წარადგინონ საკუთარი კანდიდატურა.**
- კომიტეტში სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წარმოდგენილ წევრებს შორის უნდა იყოს სულ მცირე ერთი პირი ტბ პროგრამებში სათანადო ექსპერტიზითა და გამოცდილებით, ასევე ერთი პირი აივ პროგრამებში ექსპერტიზითა და გამოცდილებით.

საზედამხედველო კომიტეტის წევრების ფუნქციები

- საკოორდინაციო საბჭოს ზედამხედველობის შესაძლებლობების გაძლიერება და ზედამხედველობის გეგმების მომზადება
- პროგრამებისა და გრანტის განხორციელების შესახებ ინფორმაციის შეგროვება
- განხორციელების პროცესში ხარვეზების, პრობლემებისა და ბარიერების იდენტიფიცირება
- მიმართულებების განსაზღვრა და რეკომენდაციების მომზადება საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობის მიზნით
- განხორციელების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშგება საკოორდინაციო საბჭოსა და პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან.



ინსტრუმენტები ანგარიშგებისთვის

- Dashboard-ები ტბ და აივ პროგრამებისთვის
- განხორციელების მონიტორინგი შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით კვარტალურად
- შედეგების წარდგენა საბჭოს სხდომებზე

დეშბორდის ნიმუში

- მომდევნო სლაიდებს მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობა აქვს. დეშბორდის სრული ვერსიის მიღება შესაძლებელია საბჭოს სამდივნოსგან ან **საბჭოს ვებ გვერდიდან**.

Dashboard: Georgia - HIV / AIDS

HIV / AIDS Round 10, Phase 2

Grant No.: GEO-H-NCDC

Select the option you want to see:

The dashboard navigation menu consists of three main categories, each with a set of sub-options:

- Grant Information** (Blue header):
 - List of Indicators
 - Data Entry
 - Grant Detail
- Indicators** (Red header):
 - Finance
 - Management
 - Programmatic
- Reports** (Green header):
 - Recommendations
 - Actions


ფინანსური ინდიკატორები

Dashboard: Georgia - HIV / AIDS

Round 10 Phase 2 Report Period: P2
 Latest Rating: **B1** NCDC From: 1-Jul-14
implementation of effective HIV/AIDS prevention activities, improving To: 30-Sep-14
Financial Indicators


F1: Budget and disbursements by Global Fund - in (\$) Report Period: P2

Comments:




F3: Disbursements and expenditures - in (\$) Report Period: P2

Comments:



F2: Budget and actual expenditures by Grant Objective - in (\$) Report Period: P2

Comments:



F4: Latest PR reporting and disbursement cycle Report Period: P2

Comments:

Last fund disbursement: Calendar days		
	Expected (days)	Actual (days)
Days taken to submit final PU/DR to LFA	45	45
Days taken for disbursement to reach PR	45	0
Days taken for disbursement to reach SRs	5	3

მართვის ინდიკატორები

მაგ. ძირითადი პოზიციების დაკომპლექტების სტატუსი

Dashboard: Georgia - HIV / AIDS

Round 10 Phase 2

Report Period: P2

Latest Rating: **B1**

NCDC

From: 1-Jul-14


ation of effective HIV/AIDS prevention activities, improving survival rates of people with adv

To: 30-Sep-14

Management Indicators


M1: Status of Conditions Precedent (CPs) and Time Bound Actions (TBAs) Report Period: P2

Comments: The CP concerns the sustainability plan: the budget is not signed yet




M2: Status of key PR management positions Report Period: P2

Comments: Urgent need to select missing position to start objective 1 in Jan as planned




M3: Contractual arrangements (SRs) Report Period: P2

Comments: New SR need to be selected to implement obj 1



M4: Number of complete reports received on time Report Period: P2

Comments:



პროგრამული ინდიკატორები

Dashboard: Georgia - HIV / AIDS

Round 10 Phase 2

Latest Rating: **B1**

NCDC

Report Period: P2

From: 1-Jul-14

Implementation of effective HIV/AIDS prevention activities, improving survival rates of people with advanced HIV/AIDS

To: 30-Sep-14




Programmatic Indicators

Number of MARPs (IDUs, MSM and FSWs) covered with HIV testing and counselling | Number and percentage of MSM reached with HIV prevention programmes | Number and percentage of eligible adults and children currently receiving antiretroviral therapy

Comment: P1

Comment: P2

Comment: P3



Indicators	Target	Achieved	0% - 59%	60% - 89%	> 90%	Comments
Number of MARPs (IDUs, MSM and FSWs) covered with HIV testing and counselling (including provision of results)	6,795	5,975		88%		
Number and percentage of MSM reached with HIV prevention programmes - defined package of services	680	620		91%		
Number and percentage of eligible adults and children currently receiving antiretroviral therapy	2,530	2,410		95%		
Number of prisoners covered with VCT (HIV testing and counselling, including provision of results)	1,350	1,311		97%		
Number and percentage of IDUs reached with HIV prevention programmes - defined package of services	12,500	1,729	14%			This indicator will be changed shortly
Number and percentage of FSWs reached with HIV prevention programmes - defined package of services	650	714		110%		
Percentage of individuals receiving OST who received treatment for at least 6 months	450	427		95%		
Number of patients with HIV Hep C co-infection receiving Hep C treatment	110	72		65%		This is due to a low acceptance of the treatment by the patients

რეკომენდაციები

Dashboard: Georgia - HIV / AIDS

Round 10 Phase 2

Report Period: P2

Latest Rating: **B1**

NCDC

From: 1-Jul-14

of effective HIV/AIDS prevention activities, improving survival rates of people wi

To: 30-Sep-14

Recommendations

Are all funds reaching implementation levels and being spent according to budget?

Financial

Summary Comments

Recommendations

F1

F2


F3

F4

are they ready for implementation of objective 1 start in January

Follow up with PR regarding the preparation for objective 1

ზედამხედველობის ციკლი



გმადლობთ ყურადღებისთვის

საკოორდინაციო საბჭოს ვებ-გვერდი

<http://www.georgia-ccm.ge/>

საკონტაქტო პირი:

ნათია ხონელიძე, ადმინისტრაციული ასისტენტი

Admin.ccm@caucasus.net

გლობალური ფონდის ვებ-გვერდი:

<http://www.theglobalfund.org/en/>

<http://www.theglobalfund.org/en/ccm/guidelines/>

ძირითადი მიმღების ვებ-გვერდი:

<http://prncdc.ge/en/globalfundinggeorgia>

ჯანდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი:

<http://www.moh.gov.ge/>